ო ქ მ ი N 7

ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის სხდომისა.

ქ. ხობი

2023 წლის 25 ივლისი.

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები:

1.ვლადიმერ ქანთარია

2.ფრიდონ კუკავა

3.ბექა ხარბედია

4.აკაკი ხურცილავა

5.დიტო ხასია

6.ბადრი რიჟამაძე

7.ჯანსუღ ჯიშკარიანი

8.მალხაზ იოსავა

სხდომას თავმჯდომარეობდა ვ. ქანთარია - კომისიის თავმჯდომარე.

დღის წესრიგი:

1.ხობის მუნიციპალიტეტის მერის დ. ბუკიას 2023 წლის 26 ივნისის N 50 – 502317734 წერილის განხილვა („ხობის მუნიციპალიტეტის მერისთვის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ძირითადი ქონების სარგებლობის უფლებით (თხოვების ფორმით) პირდაპირი განკარგვის წესით გადაცემაზე თანხმობის მიცემის შესახებ“ განკარგულების პროექტის თაობაზე);

(მომხსენებელი: ვ. ქანთარია - ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე);

2.ხობის მუნიციპალიტეტის მერის დ. ბუკიას 2023 წლის 24 ივლისის N 50 – 502320546 წერილის განხილვა („ხობის მუნიციპალიტეტის მერისთვის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული დამატებითი ქონების (ს.კ. 45. 21.25. 152) სარგებლობის უფლებით, უზუფრუქტის ფორმით, უსასყიდლოდ გადაცემაზე თანხმობის მიცემის შესახებ“ განკარგულების პროექტის თაობაზე);

(მომხსენებელი: ვ. ქანთარია - ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე);

კენჭი ეყარა დღის წესრიგის წარმოდგენილ ვარიანტს:

კენჭისყრის შედეგები: მომხრე 8 წინააღმდეგი არც ერთი.

დაადგინეს: დღის წესრიგი დამტკიცდეს წარმოდგენილი სახით.

დღის წესრიგით წარმოდგენილი საკითხების განხილვა:

1.ხობის მუნიციპალიტეტის მერის დ. ბუკიას 2023 წლის 26 ივნისის N 50-502317734 წერილის განხილვა („ხობის მუნიციპალიტეტის მერისთვის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ძირითადი ქონების სარგებლობის უფლებით (თხოვების ფორმით) პირდაპირი განკარგვის წესით გადაცემაზე თანხმობის მიცემის შესახებ" განკარგულების პროექტის თაობაზე);

(მომხსენებელი: ვ. ქანთარია - ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე);

მოისმინეს: ვ. ქანთარია - მომხსენებელმა კომისიის წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის მერისთვის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ძირითადი ქონების სარგებლობის უფლებით (თხოვების ფორმით) პირდაპირი განკარგვის წესით გადაცემაზე თანხმობის მიცემის შესახებ" განკარგულების პროექტის თაობაზე.

მომხსენებელმა კომისიის წევრებს გააცნო ეკონომიკური განვითარებისა და ქონების მართვის სამსახურის განმარტებითი ბარათი, სადაც აღნიშნულია, რომ მუნიციპალიტეტის საკუთრებაში ირიცხება თორსა დღვაბის ადმინისტრაციულ ერთეულში მდებარე ადმინისტრაციული შენობა რომელიც არის დაუტვირთავი და არ არის კეთილმოწყობილი.

2023 წელს საზოგადოებრივი ორგანიზაცია განათლებისა და განვითარების ცენტრი „თოლისკურ"-მა მონაწილეობა მიიღო და გაიმარჯვა საგრანტო კონკურსში, რომელიც ეხებოდა თორსა - დღვაბის ადმინისტრაციულ ერთეულში მდებარე მერიის ბალანსზე რიცხული ადმინისტრაციულ შენობაში არსებული 90 კვ. მეტრი ფართის კეთილმოწყობას და შემდგომში უფასოდ ინგლისური ენის შემსწავლელი კურსების დაფუძნებას 25 მოსწავლისათვის.

სამსახური შემოდის წინადადებით რომ, აღნიშნული ფართი პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, თხოვების ფორმით, ორი წლის ვადით გადაეცეს განათლებისა და განვითარების ცენტრ „თოლისკურს" თორსა დღვაბის ადმინისტრაციულ ერთეულში, უფასოდ ინგლისური ენის სწავლებისთვის.

კომისიის წევრების მხრიდან საწინააღმდეგო აზრი არ გამოთქმულა.

მომხსენებელი შემოვიდა წინადადებით წარმოდგენილი განკარგულების პროექტი კომისიის დასკვნასთან ერთად წარედგინოს საკრებულოს ბიუროს სხდომას და შემდეგ გატანილ იქნას საკრებულოს სხდომაზე დასამტკიცებლად.

კენჭი ეყარა წარმოდგენილ წინადადებას:

კენჭისყრის შედეგები: მომხრე 8, წინააღმდეგი არც ერთი.

დაადგინეს: წარმოდგენილი განკარგულების პროექტი წარედგინოს საკრებულოს ბიუროს, სხდომაზე განსახილველად.

2.ხობის მუნიციპალიტეტის მერის დ. ბუკიას 2023 წლის 24 ივლისის N50 – 502320546 წერილის განხილვა (ხობის მუნიციპალიტეტის მერისთვის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული დამატებითი ქონების (ს/კ 45.21.25.152) სარგებლობის უფლებით, ,უზუფრუქტის ფორმით, უსასყიდლოდ გადაცემაზე თანხმობის მიცემის შესახებ" განკარგულების პროექტის თაობაზე).

(მომხსენებელი: ვ. ქანთარია - ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე);

მოისმინეს: ვ. ქანთარია - მომხსენებელმა კომისიის წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი („ხობის მუნიციპალიტეტის მერისთვის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული დამატებითი ქონების (ს/კ 45.21.25.152) სარგებლობის უფლებით, უზუფრუქტის ფორმით, უსასყიდლოდ გადაცემაზე თანხმობის მიცემის შესახებ".

მერია ითხოვს მიეცეს თანხმობა ხობის მუნიციპალიტეტის მერს, მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული დამატებითი ქონება (ს/კ 45.21.25.152)პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, უსასყიდლოდ (უზუფრუქტის ფორმით) არსებობის ვადით გადაეცეს ა(ა)იპ „ხობის მუნიციპალიტეტის სპორტულ ცენტრს".

კომისიის წევრების მხრიდან საწინააღმდეგო აზრი არ გამოთქმულა.

მომხსენებელი შემოვიდა წინადადებით წარმოდგენილი განკარგულების პროექტი კომისიის დასკვნასთან ერთად წარედგინოს საკრებულოს ბიუროს სხდომას და შემდგომ გატანილ იქნას საკრებულოს სხდომაზე დასამტკიცებლად.

კენჭი ეყარა წარმოდგენილ წინადადებას:

კენჭის ყრის შედეგები: მომხრე 8, წინაღმდეგი არც ერთი.

დაადგინეს: წარმოდგენილი განკარგულების პროექტი წარედგინოს საკრებულოს ბიუროს, სხდომაზე განსახილველად.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის ამოწურვის შემდეგ სხდომა დახურულად გამოცხადდა.

კომისიის თავმჯდომარე: /ვ. ქანთარია/